

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტების მიღების მიზეზია სისხლის სამართლის კოდექსში არსებული კონკრეტური ნორმების სრულყოფის აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტების მიღების მიზანია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კანონიერი ბერკეტების გაძლიერება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით ცვლილებები შედის სისხლის სამართლის მოქმედი რედაქციის 184-ე (აპრობობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) და 342¹-ე (სასჯელადსრულების დაწესებულებაში სამსახურის დადგენილი წესის დარღვევა) მუხლებში.

კანონის პროექტის მიხედვით ხდება სსკ-ის 184-ე მუხლის ამოღება, რადგან კოდექსის მოქმედი რედაქციით, სატრანსპორტო საშუალების, მართლსაწინააღმდეგო დაუფლება როცა მიზანი მისი დასაკუთრებაა, ცალკე დამაძიმებელ გარემოებად არის ჩამოყალიბებული ქურდობის ძარცვისა და ყაჩაღობის მუხლებში, კანონპროექტის მიზანია გაუქმდეს აღნიშნული 184-ე მუხლი, რადგან სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება არ არის ისეთი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი რომ აღნიშნული ქმედება იყოს სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი, მით უმეტეს გაურკვეველია, თუ რატომ უნდა იყოს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება გამოყენების მიზნით დანაშაული და სხვა ნივთების დაუფლება კი არა. კანონპროექტის მიხედვით ხდება აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია. აღნიშნული მუხლის გაუქმების შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე, სისხლის სამართლის წესით დაისჯება თუკი აღნიშნულ ქმედებაში იქნება სხვა დანაშაულის ნიშნები. ამასთან ერთად, გაუგებარია მოქმედი რედაქციის შენიშვნა რაც ითვალისწინებს სასჯელის განახევრებას თუკი დამნაშავე 24 საათში ნებაყოფლობით, დაუზიანებლად დააბრუნებს სატრანსპორტო საშუალებას. რადგან სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 21-ე (დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება) და 68-ე (სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილის გამო) მუხლები იძლევა არა სასჯელის განახევრების არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საშუალებას, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს 184-ე მუხლის მიზანშეუწონლობას.

სსკ-ის 194-ე მუხლის შეცვლა განპირობებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონიერი ბერკეტების გაძლიერების აუცილებლობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)) დღეს მოქმედი რედაქციით, პირის მიმართ შესაძლებელია

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება 194-ე მუხლის საფუძველზე, თუ ამ უკანასკნელის შემოსავალი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ქმედების დანაშაულებრიობა (და, შესაბამისად, პირის ბრალეულობა მოცემული ქმედების ჩადენაში), თავის მხრივ, უნდა დადგინდეს კანონით განსაზღვრული წესით. ამდენად, 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას ავსებს სხვა, სრულიად დამოუკიდებელი, სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება, რომლის ჩადენის შედეგად მოპოვებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის მიზანსაც ემსახურება ფულის გათეთრება.

პროექტის მიხედვით ცალკე პუნქტად ყალიბდება წინასწარი შეცნობით უკანონო/დაუსაბუთებელი ქონების შეძენა, ფლობა, სარგებლობა, რაც უფრო ეფექტურს გახდის სახელმწიფო ორგანოების ბრძოლას ფულის გათეთრების წინააღმდეგ.

შემოთავაზებული ცვლილებებით, 194-ე მუხლის საფუძველზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არის დადგენილი, რომ მითითებული ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, თუმცა, არსებობს ასეთი ქონების უკანონობის (დაუსაბუთებლობის) მადასტურებელი მტკიცებულებები.

უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების განმარტება, თავის მხრივ, მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^ე მუხლში:

„უკანონო ქონება – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.“

„დაუსაბუთებელი ქონება – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნიათ ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.“

– ვფიქრობთ, უკანონო/დაუსაბუთებელი ქონების ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით შემოთავაზებული განმარტება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მიზნებისათვის, რაც უდავოდ დაეხმარება პროცესის მწარმოებელ ორგანოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში და საბოლოოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის მიზნისკენ იქნება მიმართული.

პროექტი ასევე ითვალისწინებს სსკ 194-ე მუხლის შენიშვნით დადგენილი 5000 ლარიანი ზღვარის გაუქმებას. ამიერიდან, კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, ასევე უკანონო/დაუსაბუთებელი ქონება უკანონო შემოსავლად ჩაითვლება მისი ღირებულების მიუხედავად.

კანონპროექტით ხდება სსკ-ის 307-ე მუხლის ამოღება. აღნიშნული მუხლის თანახმად თვით ამ მუხლში გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა სახელმწიფოს დაღატად ითვლება თუ იგი ჩადენილია საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქის არმქონე პირის მიერ. აღნიშნული მუხლი მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის ნორმაა და მას სამართლებრივი დატვირთვა არ გააჩნია, ამასთან ამგვარი ხასიათის ნორმას არ ითვალისწინებს თითქმის არცერთი წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობა.

კანონპროექტით ცვლილება შედის ასევე 342^ე მუხლში, (სახჯელაღსრულების დაწესებულებაში სამსახურის დადგენილი დადგენილი წესის დარღვევა) რითაც ცალკე ნაწილად გამოიყოფა სახჯელაღსრულების დაწესებულების მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ შესაბამის დაწესებულებაში დადგენილი წესის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რამაც გამოიწვია სახჯელაღსრულების დაწესებულებიდან ან

ბადრაგირებისას გაქცევა. აღნიშნული ცვლილების მიზანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სასჯელადსრულების დაწესებულების მოხელის მიერ დადგენილი წესის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რამაც გამოიწვია დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია და შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რამაც გამოიწვია გაქცევა, ვინაიდან საზოგადოებრივი საშიშროება გაქცევის შემთხვევაში გაცილებით მაღალია ვიდრე დაწესებულების დეზორგანიზაციისას. შესაბამისად, სასჯელადსრულების დაწესებულების მოხელის მიერ დადგენილი წესის შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის, რამაც გამოიწვია დაწესებულებიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქცია უფრო მკაცრი უნდა იყოს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

მისი მიღება არ ახდენს გაელენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

მისი მიღება არ ახდენს გაელენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის თანამხად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

წარმოდგენილი კანონპროექტი არ იწვევს ცვლილებას საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში.